საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/62

27 *-ოქტომბერი, 2016 წელი* *ქ. ბათუმი*

2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის (22 საგრანტო პროექტის) ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კონონის 22-ე მუხლის,ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და ამავე უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსის, ნანა ყურშუბაძის 2016 წლის 19 ოქტომბრის სამსახურეობრივი ბარათის №1244996 საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის (22 საგრანტო პროექტის) ფარგლებში, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნითგამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შერჩევის მიზნით და **განისაზღვროს საკონკურსო ვადები:**

   ა) საბუთების მიღება 2016 წლის 25 ოქტომბრიდან 2016 წლის 04 ნოემბრამდე (18:00 საათამდე)ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობითდა ელექტრონულ ბმულებზე:
   ა)1. http://registration.bsu.ge/Registration-1.php,
   ა) 2. http://registration.bsu.ge/Registration-2.php
   ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - 2016 წლის 7-8 ნოემბერი (საგარეო ურთიერთობათა სამსახურში);
   გ) გამოცდა (ფორმა - ტესტირება) ინგლისურ ენაში (B1.2 დონე) - 2016 წლის 9 ნოემბერი (საგამოცდო ცენტრში);
   დ) გასაუბრება - 2016 წლის 11 ნოემბერი (საკონკურსო კომისიასთან,ბსუ- ს პირველ კორპუსი, ოთახი №35, მისამართი: ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 35).
2. დამტკიცდეს კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი(**დანართი 1).**
3. დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **მერაბ ხალვაში** - ბსუ-ს რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **ინგა შამილიშვილი**- რექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;

გ)**ნანა ყურშუბაძე** - საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

გ)ნანა ყურშუბაძე - საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

დ)ხათუნა ხაბაძე - საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

4. კომისია უფლებამოსილიასაკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე დაადგინოს გასაუბრების განრიგი და მოიწვიოს სხდომაზე ხმის მიცემის უფლებით, შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური ან/და ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, ასევე მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს საგრანტო პროექტიდან.
5. კომისიამ იხელმძღვანელოს საგრანტო პროექტებისა და წინამდებარე ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.
6. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე), რისი უზრუნველყოფა დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და კანცელარიას.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1

2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის (22 საგრანტო პროექტის) ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ გაცვლითი პროგრამის (22 საგრანტო პროექტის) ფარგლებში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის) სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებასა და კანდიდატთა შერჩევას.
2. კანდიდატების შერჩევა ხორციელდება 3 ეტაპად შემდეგნაირად:

ა) I ეტაპი:კანდიდატების მიერ დადგენილ დროში შემოტანილი საბუთების შეფასება(მაქსიმალური შეფასება - 40 ქულა)

პირობები:	მაქსიმალური ქულა	კანდიდატის ქულა
აკადემიური მოსწრება	20 (5-20)	
სამოტივაციო წერილი	10 (0-10)	
CV	10 (0-10)	

20 ქულა -91-100 ქულა

15 ქულა- 81-90 ქულა

10 ქულა - 71-80 ქულა

5 ქულა - 61-70 ქულა

ბ) II ეტაპი: ინგლისური ენის ტესტი (მაქსიმალური შეფასება - 40 ქულა):

1. გამსვლელი ქულა - 100 ქულიანი ტესტის არანაკლებ 71 ქულა (კანდიდატის მე-2 ეტაპზე შეფასების 28 ქულა);
2. კანდიდატის შეფასება გამოითვლება შემდეგი პროპორციის გათვალისწინებით: 100 ქულა =მაქსიმალურ შეფასებას (40 ქულა)
3.

გ) III ეტაპი- გასაუბრება (მაქსიმალური 20 ქულა)

პირობები:	მაქსიმალური ქულა

დარგობრივი და კომუნიკაციისუნარ-ჩვევები, პრეზენტაბელურობა	15 (5-5-5)
ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა	5 (0-5)

4. **პრიორიტეტები ენიჭება კანდიდატს, რომელსაც:**
   ა) არ უსარგებლია ევროკავშირის გაცვლითი პროგრამით;
   ბ) აქვს სასწავლო პროგრამის (პროგრამით გათვალისწინებული საგნების) თანხვედრა მშობლიურ და მიმღებ უნივერსიტეტებში;
   გ) აქვს სოციალურ-ეკონომიური და ჯანმრთელობის პრობლემები (დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით/ცნობით).

5. **კანდიდატის დოკუმენტაცია არ განიხილება შემდეგ შემთხვევებში:**
   ა) არასრულად არის შევსებული აპლიკაცია (არ ერთვის CV, სამოტივაციო წერილი, აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი ცნობა ან სხვა საჭირო დოკუმენტაცია);
   ბ) კანდიდატს შეჩერებული აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

6. **კანდიდატი მოიხსნება კონკურსიდან და არ დაიშვება მე-3 ეტაპზე (გასაუბრება),** თუკი ინგლისური ენის ტესტირების შედეგად მიღებული ქულა არის 28 ქულა და ნაკლები, საერთო შეფასებიდან (40 ქულა).

7. **კონკურსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების** (საბუთების გადარჩევის, ტესტირების, გასაუბრების განრიგის და გასაუბრების შედეგების) ბსუ-ს ვებგვერდზე **გამოქვეყნებას** უზრუნველყოფს ბსუ-ს საგარეო ურთიერთობათა სამსახური (შესაბამის ველებში: ,,კონკურსები" და საგარეო ურთიერთობის სამსახურში, სიახლეების ველში).

8. **ბსუ-ს საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგები** გაიგზავნება მიმღებ უნივერსიტეტებში არაუგვიანეს 2016 წლის 15 ნოემბრისა.

9. **კონკურსის საბოლოო შედეგები** გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე და საგარეო ურთიერთობათა სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე, ბსუ-ს საკონკურსო კომისიის საერთო შეფასებისა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილების საფუძველზე.